სურათის სიუჟეტს საფუძვლად დაედო ნამდვილად მოხდანი ამბავი — მუშა არსენა ჯორჯიაშვილის მიერ მეფის სატარაბის-გენერალ გრიზანოვის მკვლელობა. მაყურებელს იტაცებდა რევოლუციონერი მუშის — არსენას ეპიკურული სახე, რომელიც უწყოყნაოდ სწირავდა თავს ხალხის ზედნიერებას. მეორე მხრივ მაყურებელს ხიბლავდა მშვენიერი გარეგნობის, ჩუმი და სათნო მუშა ქალის — ნინოს რომანი არსენასთან, მისი ერთგულება ცანსაცდელში ჩავარდნილი საქმროსადმი და ამ ბრძოლაში გამოჩენილი ხასიათის სიმტკიცე. ნინო ქართველი ქალის ახალი ტიპი იყო. ის საქართველოში კაპიტალის შემოჭრის და მუშეთა კლასის ჩამოყალიბების პროცესში დაიბადდა. მისი მშობლები იდესდაც შორეული სიფულებიდან ჩამოსული, შემდეგ ფაზრიკა-ქარხნების და რკინიგზის სახელოსნოების პირველი მუშები იყვნენ. იგი შრომაში და გაჭირვებაში აღიზარდა... ახალგაზრდობიდანვე ჩაება მუშათა არალეგალური წრეების მუშაობაში და თანდათან ჩამოყალიბდა შეგნებული და გათვითცნობიერებული რევოლუციონერი მუშა-ქალი.

აღისა ქიქოძის სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ მან ქართველი მუშა ქალის მშვენიერი სახე მოგვცა. კინოსცენით სურათის ცენტრალური სცენა: მუშების კონსპირაციული კრება, საღაც წოდეს ზეკრიან, ვინ უნდა მოკლას გრიზანოვი... წილი არსენას ზედა. ამას არ მოულოდა არსენას საცოლ ნინო. თავზარდაცემული წამობიძება: „შე-



აღისა ქიქოძე

ვესვრიო!“ — და ზეზე წამობიძება, მაგრამ რკინისტუბრი დისციპლინა აიძულებს შეეყარებულ მუშა-ქალს თავი შეიკავოს ბირადი ამბობისაგან და უყოყმანოდ დაემორჩილოს ვადაწყვეტილებას. შემდეგი სცენა: არსენა ალექსანდროვის ბაღში შემოდის ტერორისტული აქტის შესასრულებლად. გენერალ გრიზანოვის ექლს ჩაუსაფრდება. ნინო აჩრდილივით უკან დასდევს საყვარელ ადამიანს და პარტიულ აზხანავს. მისი ღრმა განცდები და სახის გამომეტყველება გვეუბნება, რომ იგი მზად არის თავი შესწიროს მუშათა ღიად საქმეს, სიცოცხლის ფასად ისწას საქმრო და ამხანავი. ნინოს გაბეძული მოქმედება და საქმისადმი ერთგულება მაყურებელს არწმუნებს, რომ ის დაჯილდოებულია არა მარტო მგონობიარე გულით, არამედ ემბრილი სულითაც. ამ შესანიშნავ თვისებებს აღისა ქიქოძე შეძლებდ უფრო აღრმავეს. ვაგისტონო ნინოს და არსენას შეგნებდომი პაემანზე. ციხეში და სხვაგან. ერთი რამ ნათელია — ამ სურათში ნიჭიერად და სრულყოფილად გამოკეთილმა ნინოს სახე გახადა აღისა ქიქოძე ახლად ფეხმადგარი ქართული კინემატოგრაფიის პირველ „ვარსკვლავად“. მერე ჩნელი იყო და რთული იმ დროში მსახიობისთვის კინოაპარატის წინ დგომა თუ გადაღება ხედილობა დიდიანი. ღია ცის ქვეშ დაგვიყნებდნენ ირვლივი სარკეებსა და ბრჭყვილა თუნუქის ვეებებებულა ფრტებს... რათა მშის ანარკული მკვეთრად გაეფეთებთ სახე. ეს თვალისმოჭველი სინათლეს სახის დაჭიმვას და ძლიერ მანჭვას იწვევდა. თვალების გახედა ხომ პირდაპირ ჯოჯოხეთი იყო! ცრემლი წყალივით მოდიოდა. ნერვული სისტემა დღიანდებოდა. მეტად რთული და მრავალფეროვანი ფსიქოლოგიური სცენა კი მსახიობისაგან მოითხოვდა უწყალო თამაშს, მდგომარეობის მიხედვით თვალებითა და სახით გან-

ცდების გამოსახვას და სხვ. თუ სცენა ბავილიონში ხდებოდა ღამით, მონათებდნენ იმდენ პროექტორებს, რომ მსახიობს მზის ანარეკლზე უარესად უმანჭავდა სახეს, უზრმავებდა თვალებს. ასეთ ჯოჯოხეთურ პირობებში განა შეიძლებოდა სახის მიმოყურ მეტყველებაზე ფიქრი? მიუხედავად ამისა, იყვნენ მსახიობები, რომლებიც გაჭირვებით უძლებდნენ მზისა და ელექტრონის „სამონელგებს“ და ახერხებდნენ დასახული ამოცანის დამაჯერებლად განხორციელებას. ყველაზე სამწუხარო ის იყო, რომ მაშინ მსახიობებს არ აცნობდნენ სცენას, წარმოდგენა არა ჰქონდათ ვის თამაშობდნენ. არ არს წარმოადგენდა მაშინდელი სცენარი? სულ რამდენიმე ფურცელზე მოკლედ, ეპიზოდებად ჩამოწერილ ამბავს, რომელიც ოფიციალურად, მშრალი ენით დაწერილ აქტს უფრო ჰგავდა, ვიდრე მხატვრულ ნაწარმოებს. დღეს გადაღებული ეპიზოდის გაგრძელება როდის იქნებოდა გადაღებული, მსახიობებმა არ იცოდნენ. წარმოდგენა არა ჰქონდათ, ერთ ეპიზოდს რა კავშირი ჰქონდა მეორე ეპიზოდთან. გადაღების მომენტში რეჟისორი მოკლედ უხსნიდა ესა და ეს გააკეთეთ და მსახიობიც აკეთებდა. დანარჩენი ყველაფერი რეჟისორის საიდუმლოებას შეადგენდა. როლის წინასწარ დამუშავებაზე, როგორც ეს ახლა ხდება, მაშინ წარმოდგენა არა ჰქონდათ. რეჟისორი რომ მოიწვევდა მსახიობს რომელიმე როლზე, სულ რამდენიმე სიტყვით ეტყუარა ასეთ და ასეთ ტიპს ითამაშებოდა და ამით თვებობდა როლზე მუშაობა. დანარჩენი კი მსახიობის ნიჭზე და უნარზე იყო დამოკიდებული. ამიტომ იყო რომ მსახიობებს მაინცდამაინც არ იზიდავდა კინოში თამაში. მიუხედავად იმისა, რომ შემდეგ წლებში ცოტა გაუმჯობესდა მსახიობის კინოში თამაშის „სპეციფიკა“, როგორც მაშინ იტყოდნენ ხოლმე კინორეჟისორები, მსახიობები მაინც გულგრილი რჩებოდნენ კინოს მიმართ. რამდენჯერ მინახავს გაცხარებული ალექსანდრე იმედაშვილი გადაღების დროს აპარატს გაჰქცევიდა, დიდი ხვეწნისა და ბოდიშის შემდეგ დაბრუნებია უკან. ალისა ქიქოძე სიმწარით იგონებს თავის ბირველ

გამოსვლას კინოში: — არ ვიცოდი, ვის ვთამაშობდი, როდესაც გადაღება იწყებოდა, რეჟისორი მეუბნებოდა ესა და ეს გააკეთეთ და მეც უნდა გამეკეთებინა. წარმოდგენა კი არა მქონდა რისთვის ვაკეთებდი. ასე, ქუჩიდან ქუჩაში გადავყავდი და განვგაბრიობდით გადაღებას. მე ჩემით ვქმნიდი ამ უზედური მუშა-ქალის სახეს. ცვლილობა არ დავნებულყავი და მთავარი ხაზი არ დამერღვია... ამ დროისათვის ალისა ქიქოძე 25 წლის იყო.

ალისა ქიქოძე (დაიბადა 1896 წელს) თვითრთად ბავშვობიდანვე დაახლოებული იყო, რადგან მამამისი მოსე ათანასეს ძე ქიქოძე ქუთაისის დრამატული საზოგადოების თავმჯდომარე იყო. ქუთაისის ქალთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, იგი 1916 წელს მოსკოვში წავიდა დრამატული ხელოვნების შესასწავლად და იქ, სიმბერატორო დრამატულ სკოლაში შევიდა. რეჟოლუცია რომ დაიწყო, სიმშობლოში დაბრუნდა და 1918 წელს ჯაბაღარის სტუდიაში შევიდა (ბიბისის). ალისა გყუთენოდა ამ სტუდიიდან გამოსულ ახალგაზრდა მსახიობთა იმ ბრწყინვალე პლუადას, რომლებმაც შემდეგში ქართული დრამატული ხელოვნება დიდ სიმაღლეზე აიყვანეს.

„არსება ჯორჯიაშვილი“-თ დროებით შეწყდა კინოში ალისა ქიქოძის კარიერა. იგი ისევ თეატრს დაუბრუნდა, სადაც უფრო მეტი ნიჭით და სიძლიერით გამობრწყინდა მისი არტისტული შემოქმედება. სწორედ იმ ხანებში ქართულ თეატრს მოეკლინა კოტე მარჯანიშვილის და რუსთაველის სახელობის თეატრი, სადაც იმ დროს ალისა მუშაობდა, ახალი ერა დაიწყო ქართული თეატრის ისტორიაში. კოტე მარჯანიშვილის მადლიანმა ხელმა მრავალი მსახიობის ნიჭი გახსნა და წარუდგინა ძველი თეატრით გულგატეხილ საზოგადოებას. კოტეს ახალ-ახალმა ბრწყინვალე დადგებებმა მთელი რიგი მაღალი ნიჭის მსახიობები გამოაქვავა. მათ შორის ალისა ქიქოძესაც ხედავოდა კოტეს დახმარებით ერთი მათგანი ყოფილიყო.

ქართული თეატრის ისტორიაში დაუფიქვარი იქნება 1923 წლის 2 იანვარი. ამ დღეს გიორგი ერისთავის თე-

კადრი ფილმიდან „ნათელა“. ა. ქიქოძე სიღეს როლში



ატრის 73 წლის თარიღის აღსანიშნავ საზეიმო წარმოდგენად კოტე მარჯანიშვილმა დაადგინა სპარტოვოის „მზის დაბნელება საქართველოში“. ალისა ქიქოძე მარხვის როლს თამაშობდა. პრემიერაში მონაწილეობას იღებდნენ ქართული თეატრის ყველა თაობის წარმომადგენლები: ვასო აბაშიძე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ნიკო გოციბოძე, რეჟისორი მიხეილ ქორელი და მოსკოვის შვირე თეატრის მსახიობი და დრამატურგი ალექსანდრე სუმბათაშვილი — იუენი. იუენი თამაშობდა რუსი მოხელის ეპიზოდურ როლს. ქართველი მსახიობებისათვის ნაცნობები იყვნენ ბიესის პერსონაჟები. ანტონოვის „მზის დაბნელება“ თავიდანვე მოწონება ჰქონდა საზოგადოებაში. მყურებლისათვისაც მან-ლოლები იყვნენ მოქმედი პირნი. ბიესა ხშირად იდგებოდა ქართულ თეა-

ტრში მრავალი წლის მანძილზე და მსახიობებს ზედმიწე-
ვითი კარგად ჰქონდათ დამუშავებული ანტონოვის ბივის
გმირთა როლები. მარჯანიშვილმა ზოგიერთი სახე უფრო
გადრმაგა და საინტერესო გახადა. ალისა ქიქოძემ სწორედ
აულო ალლი ვაქოქას. სწორედ ვახსნა მარხვის სახე და
სრულქმნილად მოგვცა გასული საუკუნის ორმოცდა-
ათიან წლებში გამდიდრებული მეფავნა-შეპირის განვიგ-
რებული, მაგრამ ამავე დროს მიაჩიტი ქალიშვილის სახე.
15 წლის მანძილზე 1918-1933 წლის დამლევაძემ ალისა
ქიქოძემ ორმოცზე მეტი სცენური სახე შექმნა ქართულ
თეატრში. ბევრი მათგანი სრულყოფილი ოსტატობით
განსახიერა. მათი გარეგან საინტერესოა და ცალკე შრო-
მას მოითხოვს. ჩვენ აქ შევხვებით მხოლოდ ერთ სახეს —
მარჯარიტა კავალინის (ედუარდ შელდონის ბიესა „რო-
მანი“), რომელიც ჩვენი აზრით, ალისა ქიქოძის შემოქ-
მედების ვირგვინად უნდა ჩაითვალოს. ეს ბიესა პირვე-
ლად 1923 წლის 22 აპრილს დაიდგა რუსთაველის სახ.
თეატრში ალისა ქიქოძის სახეზედგისოდ. კოტე მარჯანი-
შვილმა დადგა იგი საქაროდ, სულ რამდენიმე რეპეტი-
ციით. (აღიშნებში გვარიც კი არ გამოაცხადებინა): ეს
დადგმა არ ექუთენის კოტე მარჯანიშვილის შედეგებს,
რომლებიც შემდეგში ქართული თეატრის ისტორიაში
ოქროს ასობით ჩაიწერა, მაგრამ სექტაკლს წარმატება
მაინც დიდი ჰქონდა და ამ წარმატების მთავარი მიზეზი
უშეგულად ალისა ქიქოძე იყო. ახლა ძნელია 35 წლის წინ
ნახული სექტაკლის აღდგენა და მისი რეცენზირება. თუმ-
ცა ზოგიერთი მომენტი ალისა ქიქოძის თამაშის იმდენად
თვალსაჩინო და სრულყოფილი იყო, რომ დღემდე არ
ამოშლილა მესხიერებიდან. ქეშარიტად ამ ბიესაში გა-
შალა ალისამ თავისი შემოქმედებითი ფრთები და ნამდ-
ვილი არტისტული ნიჭით ბრწყინვალედ განსახიერა
იტალიელი მომღერლის ქალის ფორად საინტერესო სახე.



ჯადრი ფილიძეა „ღრუბლების თავშესაფარი“. ა. ქიქოძე
სახელოს როლი.

გავისწინეთ მისი პირველი გამოჩენა სცენაზე! მდიდ-
რულად მოწყობილი ყვითელ დარბაზში გამოიღო თვალ-
წარმატები ვარგვინობის მარჯარიტა კავალინა-ალისა ქი-
ქოძე! ღამაზე თავს ვარდის კოკრებით შემკული, შავი კუ-
ლულები უშვებებს, წერწეტა მშვენიერ ტანს კი გემოწ-
ნებით შეკერილი ძვირფასი ტანისამოსი, გულმკერდ —
ბრილიანტული და ძვირფასი სამკაული. ხელში თეთრი
იების თაიგული და ძვირფასი მარაო უჭირავს. გამოჩე-
ნისუმაღლე აღტაცებაში მოჰყავდა მაცურებელი, იმდენად
ევფორიული და მომხიბვლელი იყო მისი მარჯარიტა. ყვი-
თელ დარბაზში განმარტობით, მიხვდილი სინათლის
მყუდროებაში, ეგებებოდა პანიკური განტალით თავის
„პატარა საყვარელს“. შემთხვევით ამ სცენის მოწამე აბა-
ტ ტომას არმსტრონგი (შემდეგში მარჯარიტას ნამდვილი
მეგონი) იწყობდა კავალინის ყურადღებას. ქალური
ცნობისმოყვარული გაღიზიანებული კითხვობდა კი-
დეც მის ვინაობას, მაგრამ უმაღვე ივიწყებდა, რადგან
ვენა-ტალით გატაცებული ახლა თავისი საყვარლის იქით
გერავს ხედავდა. მისი გაბრწყინებული სახე, ანთებული
თვალბედა და კქელუცი მიმოხვრა უზომო სიხარულს გა-
მოხატავდა; როცა მარტო რჩებოდნენ მყუდრო დარბაზ-
ში, აღტაცებული ისმენდა საყვარლის ქათინაურებს,
ქალური ჭინიანობით მოითხოვდა განსაკუთრებულ ყუ-
რადღებას, ისეთს, როგორც სიყვარულის პირველ დღე-
ებში ჰქონდა, და აი, უზომო ზედღიერებით თავბრუდახ-
ვეულს პანიკის მოულოდნელი სიტყვები („ჩვენ იძუ-
ლებული ვიქნებით შევწყვიტოთ ჩვენი... ჩვენი მეგობრო-
ბა... აი თუნდ დღესვე) თავზარსა სცემდა მარჯარიტას.

უცებ მთელი სხეული უღუნდებოდა, პატარავდებოდა.
ანთებულ თვალბედაში სიხარულისა და ზედღიერების სხივი
უქრებოდა. წუთის წინ გასხივისნებულ სახეზე უზომო
ტკივილები ესახებოდა და მთლად მოითვლიდა, ოდნავ
გასაკონად, ჩურჩულით ამბობდა: — მამ ასე! იცე... ისე
გათავდა... კიდევ ერთხელ... მარჯარიტა-ალისას სახის
დაღვრემილი მომღერალი თანდათან თბილი, ბავშვური ღმირი
ცვლიდა, სვედით აღსასვე თვალბებს, — უხალისობა.

— განა სულ ერთი არ არის, — იტყვოდა გულგრი-
ლად.

თუ სცენაზე პირველი გამოჩენის უმაღვე ალისა ქი-
ქოძეს მაცურებელი აღტაცებაში მოჰყავდა მარჯარიტა
კავალინის მხატვრული სახის მხოლოდ გარეგნობით, სა-
მაგიეროდ საყვარელთან გათამაშებულ პირველსავე სცე-
ნაში ოსტატური თანამდევრობით ნელ-ნელა ხსნიდა
იტალიელი მომღერლის ქალის ფორად ბუნებას, მისი ხასი-
ათის თავისებურ მხარეებს. უკანასკნელ სიტყვებთან ერ-
თად ამთავრებდა კავალინის მხატვრული სახის გამოჩე-
რვას და მაცურებლის წინ იდგა: ახალგაზრდა, სიყვარუ-
ლის საქმეებში ფრიალ დახელოვნებული კოკეტკა, რომე-
ლიც სიყვარულში „დიდ სიყვარულზე“ ოცნებობდა და
პირველივე სიყვარულით გულგატეხილმა თავი დაანება
ამ ოცნებას. შემდეგ ხელიდან ხელში დაიწყო გადასვლა.
ბოლოს, ვენ-ტალიდ შეხვდა. გატაცება ძლიერი იყო. ფუ-
ფუნებაში და სიყვარულში გატარებულმა სამიოდე წელ-
მა „დიდი სიყვარულის“ რწმენა დაუბრუნა და აი, თი-



ქმის ზედნიერების მწვერვალზე ასულს საყვარელმა კაცმა მოულოდნელად დაუნერგა ეს უკანასკნელი იმედი. მწარედ მოტყუვდა, მაგრამ ამ სიმწარეს დიდი და ხანგრძლივი მწუხარება არ გამოუწვევია. მოხდა ის, რაც ხშირად ხდებოდა მის ცხოვრებაში. ამ არასასიამოვნო სცენამ უფრო დაღალა, ვიდრე დაამწუხარა... დარბაზში მარტო დაჩრტილი დასასვენებლად წამოწვა. მალე მოწყენილობა იგრძნო. დარბაზში აბათი ტომას არმსტრონგი შემოვიდა. ტომასის დანახვაზე მარგარიტა-ალისა ისევ შეიცვალა... მისი მოულოდნელად გაბრწყინებული სახე და ეშმაკური გამოხედვა გაუწყვებდა, რომ ესასართობი იშოვავ! ზუნებით სერიოზული და მოკრძალებული პასტორის გათამაშებას შესანიშნავი არტისტული ოსტატობით იწყებდა. დიდებულმა და დასამახსოვრებელმა იყო მარგარიტა-ალისა გრძელი, თვალთმაქცობით აღსავსე დილოოკი ტომასთან, რომელიც შეუმჩქეველად, მაგრამ ძლიერად იხლართებოდა მომღერლის ოსტატურად გაბნულ გარბნულ ბაღში.

მეორე აქტი ეს კოცობა თავისი სიღამაზით და შესანიშნავი ზმით თავიანთი ცემელთა წრეში განებივრებულნი, მუდამ მხიარული და მსუბუქი რომანებით გართული, რომელთაც დიდი ხანია ხელი ჩაიწია „დიდ სიყვარულზე“, რომელმაც არ იცის ტანჯვა და მწუხარება, — ტომას არმსტრონგთან შეხვედრის შემდეგ გამოცვლილია: სახის გამომეტყველება, ზმა, მოძრაობა და ცოტა დაბნეულობა გავარწყინებს, რომ რაღაც ახალი შეიჭრა მის არსებობაში. ყოფილ საყვარელს ვან-ტილს ეუბნება ტომასი შესახებ:

— პირველად მინდოდა იგი გამეთამაშებინა, ისე გასართობად... მერე კი... მერე რაღაც მოხდა...

მოხდა ის, რომ მასში ნაწილობა დიდმა სიყვარულმა გაიკვირა, იმ დიდმა სიყვარულმა, რომელიც ყმაყვლილობაში მის ფაქის ოცნებას ესახებოდა. დიდებულ იყო მარგარიტა-ალისა შეხვედრა ტომასთან, ტომასის კამინტი და მათ შორის გამართული დილოოკი, სადაც თვალთმაქცობაში დახელოვნებულ ქალს უძნელდებოდა სიმართლის დამალვა საყვარელი ადამიანის წინაშე. გასაოცარი სიჩრველით უამბობდა თავის არასახარბილო წარსულს და ცოლობაზე უარს ეუბნებოდა. ბოლოს, მესამე აქტი უკანასკნელი შეხვედრა ნახევრად გადაიჩრულ ტომასთან და მათი დილოოკი! ეს სცენა ალისა ქიქობის მიერ ისეთი ღრმა განცდებით და მონანიანი დრამატუზით იყო შესრულებული, რომ შეხვედრებრივი მილოდრამა, მისი გულწრფელი ლირიზმით და თამაშის სიმძაფრით, ნამდვილი დიდი დრამის სიმაღლეზე იყო აყვავილი. ამ წერტილის მიზანი იყო შეხვედრებით ალისა ქიქობის, როგორც კინომახიზოს და თუ მის მიერ შექმნილ თეატრალურ ხანებებს დავუბრუნდით და ნაწილობრივ შევხვებით, — ეს იმედნად, რამდენადაც ყოველი ჩვენთანავე მისი მოვლუბანა შეადგენს არ დაავიწყობი ხოლმე ის ნიჭიერი და დღავლმობილი პირნი, რომელთაც თავისი ხანმოკლე მოღვაწეობის სარბიელზე შექმნეს ღრისშესანიშნავი სცენური სახეები და სხვადასხვა საპასტი მიზეზით, ნების თუ უნებლიედ, ჩამოშორდნენ საყვარელ საქმეს და დაღუბნებულნი, გულის ტკივილით, შორიდან ადგენებენ თვალს და ისმენენ თავის თანატოლთა ახალ-ახალ მიღწევებს.

დავუბრუნდით ისევ კინოს.

„არსენა ჯორჯიაშვილის“ შემდეგ, ალისა ქიქობის ნოფილმ „სურამის ციხეში“ ითამაშა პატარა, მაგრამ მეტად მძიმე დრამატული ეპიზოდი. იგი თამაშობდა პატრონის შინა-მოსამსახურე ლამაზ გოგონას, რომელსაც ალერახსნული პატრონისაგან შვილი ღურმუშავი ეყოლა. ძალდატანებით გაუღელვებულნი თამაში გოგო ვერ იტანს სინცხილსა და მწუხარცხილს და თავს იხრჩობს. ალისა ქიქობის ეს პატარა ეპიზოდი ისეთი ტრაგიკული სიმძაფრით შექმნა შესრულებული, რომ მყურებელი მთავარი გმირების ვერტიკლი იმასსივრება კომეტასავით გაუღებულ ქალის უბედურ სახეს.

1923 წლის ზაფხულში რეჟისორმა ზენაზაროვმა დამიყუ ახალი კინოფილმის „ნათელას“ გადაღება. მან ფილმის სიუჟეტად აიღო 1857 წელს სამეგრელოში მომხდარი გლეხთა აჯანყება მშველდ უტუ მქიქავს მეთაურობით. კინომრეწველობის დირექტია არ მოიერია დიდ ხარჯებს და ყოველგვარი პირობა შეუქმნა რეჟისორს ზენაზაროვს, რომ სამეგრელოს აჯანყება გრანდიოზული მასშტაბით დაეგა. ამ მიზნით რეჟისორმა სურათი მონაწილეობის მისაღებად მიიწვია მრავალი ლამაზი ქალი და იმ დროისათვის გამოჩენილი ქართველი მსახიობების მთელი პლეადა მათ შორის მთავარ როლებს თამაშობდნენ: მშველდ უტუ მქიქავ — აკაკი ხორავა; ჯონ-დი-მიხელი მქიქავრელი; ნიტი-ალექსანდრე ყრკოლიანი; ნათელა-სილუ ვანჩაძე, სილუ (მქიქავს საცოლედ) — ალისა ქიქობი; ნათელა მამა — ვასო არაბიძე. ხანი-კოსტ. ანდრონიკაშვილი, თავადი ჩიჩუა-დიმიტრი ყვირიანი და სხვანი. ფილმს ვარკვეული წარმატება ხვდა. წარმატების მიზეზი იყო: ცნობილი მსახიობების თამაში, თვალწარმტაცი პეიზაჟები, მდიდრული დაღვა, სილუს და უტუ მქიქავს რომანი, ხანის პარამხანაში თავმოყრილი ლამაზი ქალები. სილუს და უტუ მქიქავს რომანი, სხვა მუხებზე შედარებით, უფრო დამაყვრებლად იყო წარმოსახული. მტრისგან დევნილი მქიქავ სილუს მამის ოჯახში შეფარებს თავს. აქ სხვებთან პირველად ერთმანეთს სილუ და მქიქავს, აქ ჩანს სხვადა მათი ბირველი სიყვარული. შემდეგ იწყება მათი ინტიმური შეხვედრები წისქვილიდან, წყალვარდნილიდან და სხვაგან. ლამაზ სილუს თავადი ჩიჩუა გაიტაცებს. მონსტერში დამალავს, რათა მდევარი აიცილინოს და შერჩეულ დროს ხანს მიუყვანოს საჩუქრად. მონსტერის ფაფარულიდან სილუ თვალს მომკრავს უკან გამოდევნებულ მიქიქავს და ცლილობს ხმა მიაწვდინოს. ამ დროს თავადი ჩიჩუა თოფს ეცხრის სილუს და მოკლავს. მშვენიერი იყო ალისა ქიქობის სილუ! ლამაზი, ნაწი და მომზიზღველი! მთელი თავისი ახალგაზრდა არსებით უტუ მქიქავზე შეყვარებულნი, მისი ერთგული. ბოლოს ამ ერთგულების მსხვერპლი.

უკანასკნელი ფილმი, რომელშიც ალისა ქიქობი მითილი მოწიყვლილია, „ღრუბლების თავმუსაფარი“ იყო. (სცენარის ა. სულაკაურის, რეჟისორი შ. ბერიშვილი, ოპერატორი ა. პოლივეკირი). ფილმში ასახული იყო თანამედროვე თუშეთის ცხოვრება. ალისა თამაშობდა მოხუცად, მაგრამ ძალზე მდიდარი მეცხვარის ერისტოს ახალგაზრდა ცოლის — 23-24 წლის საბუღის როლს.

თუ ქართული კინემატოგრაფიის მასხების პირველ ხანებში მსახიობები, მათ შორის, ალისა ქიქობიც უკმაყოფილონი იყვნენ კინოში თამაშით და რეჟისორებს უჩივოდნენ მსახიობებთან მუშაობის უსიტემობას, ხოლო

მეტწილ შემთხვევაში უეცობას, — ამ დროისთვის კინორეჟისურაში საკმაოდ დიდი ნაზიჯი იყო გადადგმული. მსახიობები წინასწარ ეცნობოდნენ როგორც ლიტერატურულ სცენარს, ისე სარეჟისორს. გარდა ამისა, ყოველი ცალკე გადაღების წინ კითხულობდნენ ეგრედ წოდებულ სამონტაჟო ფურცლებს, სადაც ყოველი გადაღების ადგილი და მოქმედება დეტალურად იყო აღწერილი. ამგვარად მსახიობები იმის სრულ კურსში იყვნენ, თუ რომელ ადგილას რა ებიზოდს თამაშობდნენ სცენარის მიხედვით. აღისა ქიქოძე ამ დროისთვის გამოცდილი და უკვე ცნობილი მსახიობი იყო. არც კინემატოგრაფიაში აკლდა გამოცდილება. მისთვის ძნელი არ უნდა ყოფილიყო გამოიკვეთა მხატვრული სახე კარაქეტილი, სასტიკ თუმურ ჩვევა-ადათებზე აღზრდილი თუში ქალისა, რომელსაც ბავშვობიდანვე ჩაგონებული ჰქონდა, რომ ქალი ქმრის მონამორჩილი უნდა იყოს, ქალისა, რომლის ბუნებაც ამავე ადათების ზეგავლენით მოკლებული იყო სითამამეს და გამბედაობას, ბუნებით მეტისმეტად მგრძობიარე, ჩუმი, მორიდებული და უსიტყვო. გულში იკლავდა მთელ მოზღვაებულ ვარაშს. თითქმის უბრალოდღვლად, მაგრამ ცრემ-

ლში ჩახშული მწარე განცდებით უთმობდა იგი თავის მეტოქე-გერს ყველაზე უფრო საყვარელ ადამიანს. დიდი სიფრთხილით მოჰკიდა ხელი აღისა ქიქოძემ საბედლოს როლს. გადაღებების დაწყებამდე, ადგილობრივ, თუშეთში შეისწავლა თუში-ქალების ყოფაცხოვრება. ამორჩია მათ შორის ყველაზე საინტერესო ტიპები. დამეგობრებით და დადობილებით მოახერხა მათთან დაახლოვება. უფრო ახლო გაეცნო მათ დამოკიდებულებას ქმართან და ოჯახთან, შესძლო მათი სულის სიღრმეში ჩაწვდომა, მათი სინარულისა და ტყვილების ამოკითხვა. ამგვარად, ყოველ მხრივ შეისწავლა და გამოიკვეთა აღისამ სულთ მდიდარი, მაგრამ საშინელი ადათების წყალობით დაჩაგრული და დამონებული თუში ქალის შესანიშნავი სახე, და სამწუხაროდ, ამით დაამთავრა თავისი მოღვაწეობა კინემატოგრაფიაში, ისევე თეატრს დაუბრუნდა, მაგრამ ძალიან ცოტა ხნით. საშინელი გადაღლომისა და ავადმყოფობის გამო 1933 წლის სეზონის დამთავრებასთან ერთად აღისა ქიქოძემ სამუდამოდ დაამთავრა თავისი შემოქმედებითი მუშაობა თეატრში.

რ. თარხან-მოურავა

„წაიყვანეს თამარ ქალი...“



60
40



რუსთაველის სახელობის თეატრის სცენა და დარბაზი აკაკი ვასაძის საიუმბილეო საღამოზე

საკაკი ვასასკის იუბილეს გამო

ჩვენმა საზოგადოებრიობამ საზეიმო ვითარებაში აღნიშნა ქართული სცენის გამორჩენილი ისტატი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის აკაკი ვასასკის დაბადების სამოცი და შემოქმედებითი მოღვაწეობის ორმოცი წლისთავი.

აკაკი ვასასკის უარესად ხანტერესო, მაღალი არტისტული შედეგები ბრწყინვალე დადასტურებაა იმ აზრისა, რომ მხოლოდ დიდ აქტიორულ ტალანტთან შერწყმულ თვადღებულ შემოქმედებას განუზომელი მხატვრული მოხიბლავა მიანიჭოს სცენურ სახეებს. ორმოცი წლის მანძილზე ცხოვრობდა აკაკი ვასასკე მის მიერვე შექმნილ გმირთა ცხოვრებით და ამ ხნის მანძილზე ისეთი მრავალფეროვანი გალერეა შექმნა სცენური სახეებისა, რომ გაცივრთ კოდევ — როგორ დაიტია ერთი აღმანიის წარმოსახვა ხასიათისა და მიწრაფებების, შინაგანი სამყაროსა და თვისებების მხრივ უკიდურესად განსხვავებული ადმინ სცენური გმირის საიცრად შოამბეჭდავი და განუშორებელი იერსახე.

თავის დროზე შესანიშნავი აქტიორული სკოლა გაიარა აკაკი ვასასკემ, — ეს იყო კოტე მარჯანიშვილთან მუშაობის წლები. სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა იგი პროფესიონალურ მსახიობად, ვისთვისაც ცხოვრების მიზნად იქცა საყოფარით თავის მაღალი ხელოვნების სამსწერპოლზე შიტანა. თეატრისადმი იმ თანატოლები სიყვარული უყოღისსომცველი და იმდენად ძლიერი იყო, რომ სიჭაბუკეში აღძრული გატაცება დღესაც აღზრდილი ძალით უღვივის გულში; ამიტომაც, რომ ორმოცი წლის შემდეგაც ისეთივე მგზნებარე და მძლავრია მისი სიტყვა სცენაზე, როგორც მისი, როცა კოტე მარჯანიშვილის თეატრს ორმოციოდ წლის წინ პირველი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიაში.

აკაკი ვასასკემ თავის უახლეს მეგობრებთან და თანამებრძოლებთან ერთად საყოფარით ბეჭებით ზიდა ეროვნული თეატრის ზრდისა და განვითარების მიმერ, მაგრამ საპატიო ტვიროი, საქმიად დიდხანს იდგა იგი სათავეში ქართული თეატრალური კულტურის ერთ-ერთი ცენტრის — რუსუალების თეატრის მხატვრულ ცხოვრებას და თუ დღეს კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის დიდი თეატრალური ტრადიციები კვლავ განაგრძობენ არსებობას და ახალ პირობებში ახლებურად ვითარდებიან, ამაში მცირე დეაწლი რომი მიუძღვის აკაკი ვასასკეს.

ქართული თეატრის ისტორიაში დრმა კვალს დატოვებენ აკაკი ვასასკის მიერ უღიდესი ისტატიზმი და ბრწყინვალე არტისტული კულტურით აღბეჭდილი სცენური სახეები, განსაკუთრებით კი ისეთი აქტიორული შედეგები, როგორცაა მისი ახესალო საღამოთაქე („ირინეს ბედნიერება“), ახმა („ანზორი“), სვიმონ ლეონიქე („სამშობლო“), შმაგა („უდანაშაულო დამნაშავენი“), კიკვიქე („კიკვიქე“), დარისან ქარსიქე („დარისანის განაკვირი“), ფრანც შოორი („უანადღები“), იაკო („ოტელი“), ბუბია („გაზის ნაამზობი“) და სხვ.

აკაკი ვასასკის მრავალმხრივი აქტიორული ბუნება საფუძველი იმ ფართო მხატვრული დიაპაზონისა, რომელიც ნებს აძლევს მას დანაშაურობის სიმსუბუქეთა და ჰუმანიტარული კომედიური გნდით განასახიეროს უყაყუყარე თუთაბერი, ხვალ კი უკიდურესი ტრაგიკული გნებითა და სიმძაფრით ითამაშოს ფრანც ან იაკო.

დიდი დეაწლი დასლო აკაკი ვასასკემ ქართულ სარეისორო ხელოვნებასაც. მის მიერ დადგმული სპექტაკლები დიდი რეისოროული კულტურითა და სანაქებო მხატვრული ადლით გამორჩევიან. რუსთაველის თეატრში დადგმულ მრავალრიცხოვან სპექტაკლებთან ერთად ამ აზრის ჩინებული დადასტურება უყანაქნელ წლებში განხორცილებული დადგმები ქუთაისის თეატრში, სადაც ის ამჟამად ეწევა მაღალნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას როგორც თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი.

აკაკი ვასასკე — უნაგარო თეატრალურ და საზოგადო მოღვაწეს საკარისი პატივი სცა ჩვენმა საზოგადოებრიობამ. ამ ცოტა ხნის წინ მას საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გადაუხადეს საიუბილუო საღამო, რომელმაც კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ჩვენი მაყურებელი საზოგადოება გამორჩეული პატივისცემის გრძობით არის გამჭვავებული ამ შესანიშნავი აქტიორისა და რეისორის, პედაგოგისა და მოქალაქის მიმართ.



საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ვასასკე

კინოფილმ „ამბავი ერთი ქალიშვილისა“ მონაწილენი აღნიშნავენ აკაკი ვასასკის იუბილეს





საქართველოს
საპარტიო ცენტრი

შ ე ს ვ ე ლ რ ა

ირაკლი ანდრონიკაშვილთან



არშან ცნობილ მწერალს, — ლერმონტოვის ლიტერატურული მემკვიდრეობის მკვლევარს და ზეპირი მოთხრობების ავტორს ირაკლი ანდრონიკაშვილს დახადების 50 წლისთავი შეუსრულდა. ეს თარიღი აღნიშნა მწერალთა საზოგადოებრივმა მოსკოვში, ხოლო ამას წინათ ამავე თარიღთან დაკავშირებით საქ. ბელოვ-ნების მუშაეთა სახლში მოეწყო თბილისის მხატვრული ინტელიგენციის შეხვედრა ირ. ანდრონიკაშვილთან.



საღამო დაიწყო იმით, რომ დამსწრეთ უჩვენეს ტელეფოლში „გამოცანა H. ფ. II“, რომლის სცენარის ავტორი და მთავარი როლის (მოხრობელის) შემსრულებელი თვით ირაკლი ანდრონიკაშვილია, ხოლო დამდგმელი-რეჟისორი მ. შაპირო.

ტელეფოლში „გამოცანა H. ფ. II“ მოიცავს სამ ნოველს და გვეცნობს იმ დიდ და უაღრესად საგულისხმო სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, რომელიც გაწეული აქვს ირ. ანდრონიკაშვილს ლერმონტოვის ცხოვრების და შემოქმედების მთელი რიგი ფაქტების გასარკვევად და დასადგენად. ფილმში ურთიერთთან არის შერწყმული მხატვრული ფორმა, მკვლევარის გონება-მახვილობა და ღრმა ადამიანურობა, დამდგმელების ოსტატობა და შემსრულებელთა

პეშმარტიო არტისტულობა.

ფილმის დამთარებას მოჰყვა საღამოს სა-წვიმო ნაწილი. საქართველოს ბელოვანთა სახელით ირ. ანდრონიკაშვილს მიესალმა ბელოვანების სახლის გამგეობის წევრი, ბელოვ-ნებანომცოდნეობის კანდიდატი ეთერ გუგუშვილი, რომელმაც ილაპარაკა ირ. ანდრონიკაშვილის მრავალმხრივ შემოქმედებობის მოღვაწეობაზე, დაახასიათა იგი როგორც ფრიალ ორიგინალური ფანჯის შემქმნელი მკვლევარ-მეცნიერი და მსახიობი. საქართველოს მწერლების სახელით ირ. ანდრონიკაშვილს გულბობილი მისაღმებით მიმართა საქ. მწერალთა კავშირის მდივანმა კრიტიკოსმა ბესო უღენტმა, რომელმაც ოუბლარის სხვა ლიტერატურულ დამსახურებებთან ერთად აღნიშნა მისი დავალი მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის თბილისის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების კვლევის და შესწავლის საქმეში.

შენდეგ სიტყვით გამოვიდა თვით ირ. ანდრონიკაშვილი, რომელმაც ჩვეული იუმორით და გონებაახვილობით დამსწრეთ მოუთხრო თუ როგორ იქმნებოდა ტელეფოლში „გამოცანა H. ფ. II“. დასასრულს საზოგადოების თხოვნით, მანვე წაითიხა რამდენიმე თავისი ზეპირი მოთხრობა, რომლებიც, როგორც ყოველთვის, დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი.



თეატრი და სახიობა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში

ლ. დიმიტრი ჯანელიძე



სულხან-საბა ორბელიანმა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განსაზღვრა და განმარტა თეატრალური ტერმინები. სისტემაში მოიყვანა ცნობები ძველი ქართული თეატრისა და სახიობის თაობაზე. გამოხატა თავისი დროის მოწინავე წრის დამოკიდებულება ეროვნული სახიობისადმი.

სულხან-საბა ორბელიანს განმარტებულმა აქვს სიტყვა „თიატრო“ შემდეგნაირად: „სახედველი. ესე არს ზღუდემოვლებული შუა ადგილი სამღერელ-საროკანნი და გარემოს მჭურტველი სადგომი“ (ლექსიკონი, ი. ყიფშიძის და ა. შანიძის რედაქციით; სიტყვის კონს. ი. იორანიშვილის რედაქციით). უცხოური „თიატროს“ ქართულ შესატყვისად სულხან-საბა ორბელიანი ასახელებს „სახედველს“. კ. კეკელიძემ ჯერ კიდევ ამ ორმოცი წლის წინათ განმარტა „თეატრინი“, როგორც „სახილველი“ (თარგმანება ეკლესიასტისა... გვ. LX XIII). ს. ყაუხჩიშვილის „ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში“ გვითხვობს: „სახილველი ანუ თეატრინი“ (ნაკვეთი გვ. სამე, ძველი ბერძნული დრამა, 1946. გვ. 246). XI საუკუნის ქართულ სენიქსარში უკვე ვგვხვდებ „სახილველი“ (ილია აბულაძის პალეოგრაფიული აღბოძი, გვ. 145). X-XI საუკუნეთა ქართული მწერლები, როგორც ეს აღნიშნული აქვს ტ. რუხაძეს, უცხოური „თეატრის“ შესატყვისად ქართულ „სახილველს“ მიიჩნევენ.

უმართებულად იქნებოდა გვევლინა, რომ „სახილველი“ (სახილველი „სახედველი“), როგორც თეატრის აღმნიშვნელი ტერმინი, X-XI საუკუნეებში გაჩნდა. ასეთი ვარაუდის უსაფუძვლოა განსაკუთრებით ცხადია მას შემდეგ, რაც აკადემიკოსმა გ. წერეთელმა გააკრიტიკა, რომ ძველად საქართველოში ტერმინები სიტყვა-სიტყვით კი არ ითარგმნებოდა, არამედ თითოეული კერძო შემთხვევისათვის ირჩევდნენ ცოცხალ მეტყველებაში დამკვიდრებულ შესატყვის ქართულ სიტყვას. ეს კი იმის დასადასტურებლად არის აღიარებული, რომ ქართული ტერმინები ბევრად უფრო ძველია, ვიდრე ის ტექსტები, რომლებშიაც ისინი ვგვხვდებით (გ. წერეთელი, არამაზის ბილინგვა, ენიშკის მოამბე XII, 1943, გვ. 47; დ. ჯანელიძე, ძვ. ქართ. დრამატული პოეზია, წერილი II, „საბჭოთა ხელოვნება“, 1957, № 1, გვ. 24).

თეატრის აღმნიშვნელი ქართული ტერმინი „სახილველი“ რომ უფრო ძველია, ვიდრე ტექსტები, სადაც ეს ტერმინი ვგვხვდებით, ამის დადასტურებლად იმაზედაც შეიძლება მივუთითოთ, რომ სახილველის (თეატრის) შენობები უძველესი დროიდან ამშვენებდნენ საქართველოს ქალაქებს. როგორც ეს ს. ყაუხჩიშვილის და შ. ამირანაშვილისა გააკრიტიკეს, საქართველოში ტერიტორიაზე, ანტიკურ ხანაში, კოლხეთის ქალაქ აფსარაში და იბერიის ქა-

ლაქ უფლისციხეში სახილველის (თეატრის) შენობები არსებობდნენ (ს. ყაუხჩიშვილი, პროკოპი კესარიელის ცნობები საქართველოს შესახებ, საქ. მუზეუმის მოამბე, 1933, ტ. VII, გვ. 146-147; შ. ამირანაშვილი, წარმართული მისტიციზმი და ანტიკური თეატრი საქართველოში, ჟურ. „მნათობი“, 1944, № 1-2; დ. ჯანელიძე, ქართ. თეატრის ხალხური საწყისები, გვ. 31-33).

მხედველობაში მისაღები შემდეგი გარემოებაც: 1938 წელს სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი წარწერაინი ქვის მიხედვით ქალაქ მცხეთაში მეთოხე საუკუნეში ჰყავდა მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი აგრელი აქოლისი. ს. ყაუხჩიშვილი, რომელმაც ეს წარწერა გამოსცა, დასკვნის, რომ იბერიის დედაქალაქს ამ დროს ჰყავდა საამშენებლო სამუშაოთა უფროსი (ხუროთმოძღვარი), რომელიც ამავე დროს მხატვართუხუცესიც ყოფილა. მხატვართუხუცესის თანამდებობა არც ძველბერძნულსა და არც ბიზანტიურ ძეგლებში XII საუკუნემდე არ ჩანს, ამიტომაც მკვლევარი საუფლებო მიეცა „მხატვართუხუცესი“ მიიჩნია ადგილობრივი საჭიროებისათვის სპეციალურად შექმნილ ტერმინად მცხეთაში თანამდებობის პირის წოდების (მხატვართა უფროსის, ხუროთმოძღვარის) განმარტებადაც (ს. ყაუხჩიშვილი, მცხეთა-სამთავროს ახლად აღმოჩენილი წარწერა, აკადემიის მოამბე, IV, 6, 1943, გვ. 577-584; დ. ჯანელიძე ქართ. სანახაობრივი კულტურის ისტორიიდან, გაზ. „თბილისი“, 1959, № 117). თანა ყაუხჩიშვილი ამ წარწერაზე დაკვირვებით ასკვნის, რომ მცხეთის მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი აგრელი აქოლისი და მისი მეუღლე ბერაზურია ადგილობრივი მკვიდრი იყვნენ (ბერძნული წარწერები საქართველოში, 1951, გვ. 255-257). ანტიკურ საქართველოში თეატრალური ნაგებობათა არსებობა და ამასთანავე დედაქალაქ მცხეთაში მხატვართ-უხუცესის და ხუროთმოძღვარის თანამდებობის არსებობა, რაც ადგილობრივ მკვიდრს ეჭირა, და-დაჯერებულსა მატებს იმ მოსაზრებას, რომელიც უკვე შორეულ წარსულში თეატრალური შენობის და მისი ნაწილების აღმნიშვნელი ქართული ტერმინების არსებობას გულისხმობს.

ამისდა მიხედვით სულხან-საბა ორბელიანის მიერ ძველი ქართული დამწერლობითი ძეგლებისა და ცოცხალი ქართული მეტყველებიდან გამოკრეფილი და განმარტებული თეატრალური ტერმინები განსაკუთრებით საყურადღებოა.

ს ა ხ ე დ ე ვ ე ლ ი - ს ა ხ ი ლ ვ ე ლ ი (თიატრო), სულხან-საბა განმარტებით, „ზღუდემოვლებულია“. ზღუდე, სახეზე განმარტებით, „ესე არს ყოვლი სიმკრავლით შემოვლებული, რაჲც რაჲვე იყოს გარმონავლები ქალაქთა, დაბათა, ს ა ხ ი ლ თ ა, წალკოტთა“... საბას „სახედველ-



სახილველი" რომ ზღუდემოვლებულია, რომ იგი „სიმრგავლეული შემოვლებულია“, მეტად საინტერესო მონაცემია და იმის მაჩვენებელიც, თუ რამდენად იყო საბა გარკვეული თეატრალური ნაგებობათა ხერთომოდერების საკითხებში. რომელი ხერთომოდერის ეტირტივი თეატრის გეგმის მოხატვისას წინადადება იქნოდა „სიმრგვლით შემოვლებული“ წრე მოხებათ.

სულხან-საბა ორბელიანი ჩამოთვლის სახილველის ძირითად ნაწილებს: „შუა ადგილი სამღერელ-საროკავი და გარემოს მჭკრეტელთ სადგომი“. განვიხილოთ ჯერ სამღერელ-საროკავი, რაც საბას მრავლობითი ფორმით აქვს მოყვანილი. საბა სახედველ-სახილველის უპირველეს ნაწილად ასახელებს „სამღერელს“. როგორც ეს 8. კახიმე გარკვეია, ქართული „სამღერელი“ შეესატყვისებოდა ბერძნულ „სკენას“ (სცენას). სკენეს მნიშვნელობით აქვს მიყვანილი გიორგი მთაწმიდელს „სამღერელი“ ბასილ დიდის „ექუსთა დღეთას“ თარგმანში. ამავე მნიშვნელობით ჩანს სამღერელი ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი იოანე ოქროსანის თხზულებაში „თარგმანები იოანეს თავის სახარებისა“, სადაც გვითხრობთ: „მსახობელნი სოფლისანი შემკულნი პირითა და დაბურვილნი თავითა, აღსრულნი ს ა მ დ ე რ ე ლ ს ა მ ა ს ა ა დ ე ჯ ლ ს ა, რომელნი იმღერდიან ფრეკობა შემკულნი სამოსლითა ოქროსათა“. (ხელნაწერთა ინსტიტუტის A 101, გვ. 2: ტ. რუბაძე, ძე. ქართ. თეატრი, გვ. 55).

„საროკავი“ წარმოებულია ძველი ქართული სიტყვიდან „როკვა“. თვით საბა როკვას თამაშობის (სანახაის-სანახაობის) ერთ-ერთ გვარებად მიიჩნევდა: „რ თ ე ჯ ა არს საბა ცეკვა, ბუნა, კოჭა, ფერკული, მგრავული ყოცა და რაოდენიცა ებანათა და ფანდურთა მიერ იქმნებინან“. „საროკავი“ აღნიშნავს ადგილს, ბატარა მოედანს, სადაც ცეკვავდნენ და მღეროდნენ. თვით საბა თავის განმარტებაში აღნიშნავს, რომ ბაროკავი, „შუა ადგილია“. ასეთი წრისებური ფორმის ნაწილს ძველი თეატრის შენობაში, სადაც ფერხული, „მგრავული ყოცის“ ცეკვები იმართებოდა ებანათა და ფანდურთა აყოფებით, ეწოდებოდა „ორქესტრა“; თეატრის ამ ერთ-ერთი ძირითადი ნაწილის — ორქესტრას აღნიშნული უნდა იყოს საბასეული „საროკავი“. ძველ ქართულში ორქესტრას აღნიშნული სხვა ტერმინიც მოიპოვება, სახელდობრ, „განსახარებელი“, რაც, ზოგჯერ უფრო ზოგადი მნიშვნელობითაც იხმარებოდა (ბასილი დიდი, ექუსთა დღეთა, გვ. გვ. 40, 125).

საბამ რომ სახედველის (თეატრის) ორი სხვადასხვა ნაწილი—სამღერელი (სკენა) და საროკავი (ორქესტრა) ერთ კომპოზიტად (სამღერელ-საროკავი) წარმოგვიდგინა, ეს იმას ნიშნავს, რომ ლექსიკოგრაფი თეატრალური შენობის ამ ორი ნაწილის დანიშნულების ერთგვარობას თვალსწინებდა: სამღერელზე (სკენაზე) მოქმედი მსახიობები და საროკავზე (ორქესტრაზე) მროკველი ფერხვლები ერთად ასრულებდნენ სახედველ-სახილველ ნაწარმოებს. ამა-სთან საბამ კარგად იცოდა, რომ სამღერელიცა და საროკავიც სახილველის შენობის თავისთავადი ნაწილები იყო. მიტომაც ამ ორ სახელს საბა თუმცა ერთ კომპოზიტად აერთიანებს, მაგრამ მრავლობითი ფორმის თანდართობით გვეუბნება, რომ ისინი ერთს კი არა, არამედ შენობის ორ თავისთავად ნაწილს წარადგენენ და გაერთიანებული არიან

დანიშნულების ერთგვარობით: „სამღერელიც“ და „საროკავიც“ „სახილველი“ ნაწარმოების წარმოდგენას განსახილველ რწმინათ.

სრულიად გამოყოფილი აქვს საბას სახილველის (თეატრის) ისეთი მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც არის „გარემოს მჭკრეტელთ სადგომი“. სადგომი ადამიანათვის განკუთვნილ საცხოვრებელს ან სათაფის წარმოადგენდა (ივ. ჯუჯაშვილი, „მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში“, გვ. 6-7). სიტყვა „გარემო“ (გარემოვლი) მივიითოთებს, რომ სახილველის ის ნაწილი, რაც მკურნებელთა სათავსოდ იყო განკუთვნილი, საბას წარმოუდგენია, როგორც საროკავის (ორქესტრას) წრის „გარემოვლით“ მდებარე. ასეთი წარმოდგენაც სრულიად შეესაბამება ანტიკური ხანის სახილველის (თეატრის) გეგმას. ცალკე აქვს განმარტებული სულხან-საბას „ურაკპარაკი“, როგორც სახილველის (თეატრის) შენობის ერთ-ერთი ნაწილი. ეს განმარტება საბას ლექსიკონის ავტორგრაფიული ხელნაწერებით სამი ვარიანტული სახესხვაობით არის წარმოდგენილი:

- ა) ურაკპარაკი არს, ვითარცა თეატრი ადგილი, სადა წარჩინებულნი დადებინან სჭირებდა;
- ბ) ურაკპარაკი ესე არს მკურნა ადგილი წარსადალი, საცხადო, გინა თიატროთა ადგილი, სადა წარჩინებულნი დადებებინან, გინა უბანი;
- გ) ურაკპარაკი საჩინო წარსადალი ადგილი, გინა უბანი, გინა თიატროთა ზედა წარჩინებულთა სადგომი (ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, გვ. 171).

სახედველ-სახილველის (თეატრის) შენობაში „მჭკრეტელთა“ საერთო სათაფისსაგან (სადგომისაგან) გამოცალკევებით და განსხვავებით საბას ასახელებს „წარჩინებულთა სადგომს“. თუ გავითვალისწინებთ სიტყვა „წარჩინებულის“ საბასეულ განმარტებას, სახედველ-სახილველში (თეატროში) „წარჩინებულთა სადგომი“ უნდა გავიგოთ, როგორც დარბაზს შიპატიკებულთა უარესთაშვილის განკუთვნილი ლოჯა. „ურაკპარაკი“ — ეს „წარჩინებულთა სადგომი“ შესაძლებელია სახილველის (თეატრის) ზედა ნაწილში ყოფილიყო მოთავსებული, რაკი საბას ანთქემაში აქვს „თიატროთა ზედა“-ო.

„თიატროს“ განმარტებაში საბა ამ ნაგებობის პირდაპირი დანიშნულების (სახედველ სამღერელ-საროკავთა) გარდა, მის სხვა მხრივ გამოყენებაზეც მიუთითებს: „სადა სტანჯვიდანი მოწყაბათა“-ო.

სახილველ-სახედველის (თეატრო-თიატრონის) გამოყენება სარწმუნოებრივ ბრძოლებში დამოწმებულია IX-X საუკუნის ქართულ ძეგლებში, რაც მკვლევართა მუშე-ღეულებით, VI-VII საუკუნის მარტილიობის წიგნიდან უნდა მომდინარეობდეს. ეს ძეგლია „წამება აბიბოს ნეკრესელისა“, სადაც ნაამბობია თუ აბიბოს ნეკრესელმა როგორ დაშრიტა ცეცხლთაყვანისმცემელთა საკერპოზე საგ-ზეხელი, რისთვისაც იგი „ქრულმეს... და საყვრობილთა ზაპანის (მხარის განმგებლის) წინაშე წარსადგინებლად „წარჩევანს“. მარზაპანთან სოფელ რგში აბიბოსის წარდგინების შემდეგ „შეკრება მუნ სიმრავლე ეპისკოპოსთა და მღვდელთა და ერის მოაყვართა და თიატრონი დიდი იქნან წინაშე მარზაპანისა“ (ასურელ მოღვაწეთა ცხოვ-

რების წიგნთა ძველი რედაქციები, ილია აბულაძის გამოცემით, გვ. 192; ასურელ მამათა ცხოვრებათა არქტიპები, ს. კაკაბაძის გამოცემით, გვ. 44). თეატრონში მარზაპანმა საუკუნოდ დატოვა აბიბოსი, რის შემდეგ იგი წამებით მოკლეს. შემდგომად მრავლისა გუმისა და საყრველთა სატანჯველთა სა ქვითა განტუნეს იგი ნეტარი აბიბოსი და მოკლეს და განათრეს გარეშე ქალაქსა" (იქვე, გვ. 193; გვ. 45). ამგვარად, საბას ქართულ ორიგინალურ ძეგლებზე დამყარებითავე შეეძლო ეთქვა, რომ საქართველოს მიწაწაღებულ არსებულ სახილველ-სახეიღველში (თეატრონ-თეატრონში), „სტანჯველი ამოწამეთა“—ო.

აქ მოყვანილ ტექსტში ყურადღებას იპყრობს შემდეგი: რები, რომელიც თითქოს შიდა-ქართლის მარზაპანს (გამგებელის) ადგილსამყოფელი უნდა ყოფილიყო, ჯერ სოფლად არის მოხსენებული და შემდეგ ქალაქად: „სოფელსა რომელსა ჰქვიან რეკი და შემდეგ როდესაც აბიბოსი „მუნ“, ე. ი. რებში, თიატრონში აწამეს და მოკლეს, წამების წიგნიც ვითხულობთ: „მოკლეს და განათრეს გარეშე ქალაქისა“. ასეთი შესაბამობა, რომ რები ჯერ სოფლად არის მოხსენებული და მერმე ქალაქად, — შემწინეული ჰქონდა აკად. ივანე ჯავახიშვილს და სათანადო შესწორებას იძლეოდა იმის საფუძველზე, რომ თითქოს ამ ადგილის მომყოლ ტექსტში რები გარკვევით ქალაქად არის მოხსენებული. ნამდვილად კი აქ ნათქვამია: „გამოვიდეს მამანი იგი, რომელიც მყოფ იყვნეს გარემოს ქალაქება მას რეკისასა“ (ილია აბულაძის გამოცემით, გვ. 194), ე. ი. აქ ქალაქად რები არ იხსენიება; არამედ ლეკარაქია რების გარშემო მდებარე ქალაქების შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ ძველ წყაროებში მოხსენებულ ქალაქებს შორის რები ქალაქად არსად არ იხსენიება. ვახუშტისაც რები მოხსენებული აქვს, როგორც სოფელი, დაბა (გეორგიანი, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის გამოცემით, გვ. 72). როგორც ვიცი, IX-X საუკუნეების „სოფელი“ უცუქ ქვეყნის სანახების აღნიშნული კი აღარ იყო, არამედ „დაბის“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სპიაროლის ისტორია, წიგნი პირველი, გვ. 140). ე. ი. რების სოფლად მოხსენება არავითარ შესწორებას არ მოითხოვს. ასახსენელია მხოლოდ ის, თუ ადგილი, სადაც თეატრონში აბიბოსი აწამეს და მოკლეს, სოფელი არ არის და ნამდვილად ქალაქია, როგორც ეს ტექსტშია აღნიშნული, რომელი ქალაქია და რა მიმართებაშია სოფელ რებთან?

თითო წამების წიგნის მიხედვითაც, სოფელ რების გარშემო ქალაქებია. ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ კუთხის მარზაპანის (გამგებლის) რეზიდენცია სოფელ რებშიყო ყოფილიყო და არა ქალაქში. დაპყრობებითა მიერ დანაშაულად მარზაპანს თავის ადგილსამყოფელად უფრო ციხე-ქალაქი შეუფრის, ვიდრე სოფელი — დაბა. თანაც მარზაპანის ადგილსამყოფელში შესაძლებლობა იყო თიატრონის ქმნისა ე. ი. იქ ხალხმსაკრებელთა სახილველად არსებობდა „სადაც სტანჯვილიან მოწამეთა“. ასეთი სახილველის (თიატრონის) ნაგებობაც ქალაქშია საგულსხმებელი და არა სოფელში.

სოფელ რებში შეიძლება ყოფილიყო მარზაპანი რაიმე საქმის გამო, და იქ მიეყვანათ დატყვევებული აბიბოსი. ამის შემდეგ ამ კუთხის გამგებელ მარზაპანს ის წაუყვანია თავის ადგილსამყოფელ ციხე-ქალაქში, სადაც თეატრონის ქმნის შესაძლებლობა იყო ე. ი. არსებობდა

სახილველის (თეატრონის) ნაგებობა, „სადაც სტანჯვილიან მოწამეთა“.

წამების წიგნის ტექსტიდან ჩვენ ვიცი, რომ რების გარშემო არსებობდნენ ქალაქები, მაგრამ რომელი ქალაქია ის ქალაქი, სადაც სახილველის (თეატრონის) ნაგებობა იყო და სადაც აბიბოსის წამება-მოკვლეთ „თეატრონი დიდი იქმნა“? „მატრონი ქართლისა“ რებთან ერთად მის „გარემოს ქალაქთაჲან იხსენებს უფლისციხეს... და შეიბნეს რებს“ („ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. ტ. I, გვ. 255). საგულსხმთა, რომ სწორედ უფლისციხეში — ამ ძველადმყოფ ციხე-ქალაქში მიაკვლია აკად. შალვა ამირანაშვილმა ანტიკური ხანის თეატრის ნანგრევებს. (შ. ამირანაშვილი, ქართ. „ხელოვნების ისტორია“, 1944, გვ. 122; ქ. Джanelidze, Гruzинский театр, 1959, გვ. 1-3). ეს იგი ძველი ლიტერატურული ტრადიციითა სოფელ რები ციხე-ქალაქ უფლისციხესთან ერთად იხსენიება და თანაც ამ ქალაქში შესაძლებლობა იყო აბიბოსის იქმნება-მოკვლეთ „თეატრონი დიდი ქმნილიყო“, რაკი იქ სახილველის (თეატრონის) ნაგებობა არსებობდა. თანაც მარზაპანის — მეფის პროვინციის გამგებლის რეზიდენციად უფრო ციხე-ქალაქი უფლისციხეა საგულსხმებელი, ვიდრე სოფელი (დაბა) რები.

ყოველგვარ ანის მიხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ აქ უფლისციხეში იყო მარზაპანის რეზიდენცია; აქ უფლისციხეში არსებობდა სახილველის (თეატრონის) ნაგებობა, სადაც აბიბოსის წამება-მოკვლეთ „თეატრონი დიდი იქმნა“. ამიტომაც სრულიად გასაგებია წამების წიგნის ტექსტის ის ადგილი, სადაც ნათქვამია: „მოკლეს და განათრეს გარეშე ქალაქისა“. ვინც უფლისციხის მდებარეობას იცნობს, სხვაანარად არც შეიძლება ყოფილიყო. სასაფლაოც კი ამ კლდეში ნაკვეთი ციხე-ქალაქისა „გარეშე ქალაქისა“ უნდა არსებულიყო. მაშინ რთი თხსენება, რომ მოხსენებული არ არის ის გამორჩენილია უფლისციხეში მარზაპანის მოსულა და ამიტომაც საქმე გვაქვს ზემოთ აღნიშნულ შესაბამობასთან. წამების წიგნის ვრცელი რედაქციის შემდგენელი ავტორის ასრენის სიტყვით, მას გამოყენებული ჰქონდა წინათ არსებული მარტყოლობის წიგნი, ზოგჯერ გამოყრებითა და ზოგჯერ შინაარსის თხრობით გადმოცემული. თანაც ეს ვრცელი რედაქცია მოღწეულია ჩვენამდე XVII-XVIII საუკუნეთა ხელნაწერებით ისე, რომ სრული შესაძლებლობა გადადამუშავება-გადაწერის და ხანგრძლივ პერიოდში ეს შესაბამობა გაჩვენდიყო წამების წიგნის ტექსტიდან უფლისციხის ამოვარდნით ან, რაიმე მოსაზრებით, ამ ქალაქის სახელწოდების ამოშლით.

თუ ჩვენი მოსაზრება სწორია, მაშინ ჩვენ ხელთა გვაქვს VI-VII საუკუნიდან მომდინარე ძველი ქართული მწერლობის ძეგლის მოწმობა უფლისციხეში სახილველის (თეატრონის) არსებობისა და ამ ნაგებობის დაწესებულ სარწმუნოებრივ ბრძოლებში გამოყენების შესახებ („თეატრონი დიდი იქმნა“). ამას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ძველი ქართული სანაბობრივი კულტურის ისტორიისათვის საერთოდ და ეკრძოდ უფლისციხის თეატრის არსებობის უცლებელი მტკიცებისათვის.

ასე რომ, ამ მხრივაც საბას მოწმობა სარწმუნოებრივ

ბროლოგში „თიატროს“ გამოყენებაზე („სადა სტანჯვილიან მოწყობთ“) დამყარებული უნდა იყოს ორიგინალური ქართულ ძეგლებზე, სახელდობრ „წამება ამბოხის ნეკრე-ველისა“. არ არის გამორიცხული ისიც, რომ ძაბას მხედ-ველობაში ჰქონდა ქართულად თარგმნილი ძეგლებიც; მაგალითად, VIII საუკუნის გასულის და IX საუკუნის დამდეგის ძეგლებში „მატიანისა ბაველ, ბილის, თონს, არონ და მოყუსთა“ ნათქვამია: „ვითარცა ესა მე მე-ფესა, ბრძანა მოყრად მათი მევეთა და მაშინ მიისწრაფეს ყოველითა მკვდრითა ქალაქისათა თიატრონიად. რაჲ ითა იხილონ აღსასრული იგი წმიდანი მოწყამებთა (კიემნი, კი კეკელიძის გამოცემით, ტ. II, გვ. 25).

ახლა საკითხები ხდება, არსებობდა თუ არა სახილველ-სახელეულის (თიატროს) ნაგებობა საბასდროინდელ სა-ქართულოში. მეჩვიდმეტე საუკუნის მიერ ნახევრისა და მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს, ე. ი. „თიატროს“ განმარ-ტებზე შევხება საბასთვის ისტორიულ წარსულის, თუ მის თანამედროვეობის სამოქალაქო ნაგებობასაც.

ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იქცევს საბას თანამედრო-ვე პოეტის არჩილის პოეზიდან „გაბასებზე თეიმურაზისა და რუსთაველის“, პასუხი მიერე მეფისა:

არც მე ვინოდა ბასს, მოიქვამს აქებეთ რუსთველსა
მას ხარბად ენა-მეტყველსა, ვით ტბილი მოსდის თვე
სიფელსა,
მაგრამ თიატროსს ავსებენ, ასპარეზსა და კვლავ ველსა,
და ბასოსებ და გვადიანს, გხედვან ხანდთან თვალ-სველსა.

ჩვენი გაგებით, როგორც ეს არა ერთხელ აღნიშნეთ, სიტყვებში „თიატროსს ავსებენ“ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ საბასა და არჩილის დროინდელ თბილისში XVIII საუ-კუნის მიერე ნახევარში არსებობდა თიატრონის (თიატ-როს) — სახელეულის ნაგებობა, სადაც სხვათა შორის სრულდებოდა გაბასებანი თეიმურაზისა და რუსთაველი-სა. რომ თეატრონის ნაგებობა თბილისში არსებობდა, ამას აღსატყობებს ისიც, რომ იმავე არჩილის თხზულებაში „სა-ქართულოს წიგნობანი“ აღწერილია ინდოეთიდან თბილის-ში ჩამოსულ მოთამაშეთა წარმოდგენა: „პინდიც არ ენახეთ ჩვენს წინა, ოთხ აქლებს გარდასტვებოდა უნდ-დაკრავად ჰაერში მათზედ გარდასტვებოდა (არჩილიანი, ა. ბარა-მიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I, გვ. 5). ეს წარმოდგენაც თბილისში თეატრონის ნაგებობის არსე-ობას გულისხმობს.

ნიკო ბერძენიშვილმა, რომელიც აღქვასწარედ ბარაძე-ძისათა ერთად არჩილის თხზულებათა ორტიმულების რე-დაქტორად და რომელმაც იმ გამოცემას ლექსიკონი და-ურთო, არჩილის გაბასებანი ნახსენები „თიატრონი“ გან-მარტა, როგორც „თეატრი“ და იქვე მოიყვანა არჩილის თანამედროვე ლექსიკოგრაფის საბას განმარტება: „სახელ-ველი, ესე არს ზღუდე მოგულებული შუა ადგილი სამე-რულ საარკონი და გარემოს მჭერტელთა სადგომი“ (ტ. II, გვ. 178). ამით მკვლევარი არაბრძობაპირად ახს-ტურებს, რომ არჩილის მიერ მოხსენებული თიატრონი, სადაც თეიმურაზისა და რუსთაველის გაბასებთა სრულ-დებოდა, ისეთივე სახის ნაგებობაა, რის განმარტებას სრულ-დებოდა, ისეთივე სახის ნაგებობაა, რის განმარტებას არ-ჩილის თანამედროვე საბას მოგვცა თავის ლექსიკონში. აღსანიშნავია შემდეგაც: ევროპაში მოგზაურობისას საბას თავის თვლით ჰქონდა ნახული რომაული თეატრი. საბა მოგვიხიბობს: „იქილამ სხვა მონასტერი იყო... იქ წაგვიყ-ვანეს, რომის ნაპირს არის თიატროზე ახლო“... (გვ. 23).

ამდენად, როდესაც საბა „თიატროს“ განმარტავდა, მხედ-ველობაში ჰქონდა როგორც შორეული ისტორიულ წარ-სული უცხოეთისა და საქართველოს მიწა-წყალზე არსე-ბული სანასობრივი ნაგებობანი, ასევე თანამედროვე თია-ტრონი, რომელიც სახილველ-სახელეულის სახელწოდებნი-თაც იყო ცნობილი.

ლექსიკონში უფრო ნაკლებად ვპოულობთ მასაღას დრამატული ვანის ვეარობათა შესახებ. საბას ლექსი-კონში ჩანატებულია ტრაგედიის განმარტება, რაც უფრო მწერლობის ამ გვარობის წარმოშობას, მის ძველთა-ძველ-საწყის ჩანასახს უფრო შეხება, ვიდრე მის განვითარებულ და დასრულებულ სახეს. ლექსიკონში ჩანამატ სიტყვათა შორის გვიხილავთ: „ტ რ ა დ ე ლ ი ა არს ბერძული. ნიშნავს თხის კიბრივით შესვასებულს სიმღერის სამეფ-ხაროსასა“. რაც შეეხება კომედიას, საბა შესაძლებელია სწორედ ამ ქანრს გულისხმობდა, როდესაც წერს: „კ ო მ ო დ ი ა წიგნია ერთი საწარმარით“. არაფერი აქვს ნათქვამი საბას სატროული დრამის შესახებ, მაგრამ სატროის შესახებ კი ვარკვეული წარმოდგენა აქვს: „სრუ-ლიად კაცის მსახესი და ჩლიქნი თხისანი“.

ვახუშტი ბატონიშვილი „ტრადიციას“ შემდეგი სიტყ-ვებით განმარტავდა: სატროალი ლექსის ქმნა, ანუ როც-ვანი ანუ გლოვის მგოსანი“. ენციკლოპედისტი იოანე ბაგ-რატიონის პოეტკით: „დრამატებიკური ანუ მგლობო-ბითი მოღქესობა თვის ეყვის ტრადედიათა ანუ საგლო-ველთა ხმათა, ანუ შირთა, კომედიათა ანუ აზრთა წარ-მოდგენებათა და სხვათაც თიატრალურთა თხზულებათა“. საბას ლექსიკონის ჩანამატი განმარტებით, აგრეთვე ვა-ხუშტის და იოანე ბატონიშვილის ახსნათაც სადგურებელი ხდება, რომ ძველ ქართულში „გლოვის მგოსნობა“ ტრა-გედიის აღნიშვნელი იყო („კალმასობა“, ტ. I, გვ. 27); ტ. რუსები, ძვ. ქართ. თეატრი და დრამატურგია, გვ. 138; დ. ჯანელიძე, ძვ. ქართული დრამატული პოეზია, წერი-ლი მიერე, თფნ. „საბხოთა ხელთნაწი“, 1957, № 1, გვ. 24-25) ამისდა მიხედვით განსაკუთრებული მნიშვნე-ლობა ეძლევა გოდებს (იხ. „ტიროლი“) საბასეულ ახს-ნას: გ ო დ ე ბ ა არს კმაკეთილობით და ზრუნმეწყობით გულის სატეივართა სიტყუთ მგოსნობა, ხოლო ზრუნი — შეზანება მისი“. მამასადაც, საბას წარმოდგენითაც მგოს-ნობა გოდებს (სიმღერას სამეფაროსისა — ტრადიციას) უკავშირდება. ამიტომაც ჩვენ უნდა შეგვჩრდეთ „მგოსნის“ საბასეულ განმარტებაზე: „მ გ ო ს ა ნ ი ვანი და ქალნი კეთილად მომღერალნი ქმითა სამეწყობითა ენანთა და ბარ-კითათა ზედა. მ ე გ ო დ ე ბ ე ნ ი ა გლისი მგოსნად ითქვიან“.

